ახალი ხარაგული

377 (8) 26 აპრილი, 2018 წ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი სოგანზოგადოებისა მიმდინარეობას გაეცნო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებთან თათბირი გამართა და ხვნა- თესვის სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია მოისმინა. მერის განმარტებით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მოსახლეობას პრობლემები არ შეექმნას და დროულად მოხდეს სოფლების ტექნიკით უზრუნველყოფა. როგორც თათბირზე აღინიშნა, მუნიციპალიტეტში საგაზაფხულო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს და ამ ეტაპზე 160 ჰექტარი მიწის ფართობია დამუშავებული. 1ჰა მიწის დახვნის ღირებულება 300 ლარია და მოსახლეობას შპს „ხარაგაული 2011-ის“ სპეცტექნიკა ემსახურება. მერის დავალებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მარტოხელა მოხუცებს, რათა ტექნიკის მოძიება მათთვის პრობლემა არ იყოს.

შეხვედრაზე მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებიც მიმოიხილეს. როგორც ნიკოლოზ თოფურიძემ განმარტა, მომავალი წლიდან რეგიონული განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტებზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან 5%-იანი თანამონაწილეობა აღარ იქნება. მერის ინფორმაციით, ეს მნიშვნელოვანი შეღავათი იქნება ბიუჯეტისთვის და გამოთავისუფლებული თანხები დეფიციტურ მიმართულებებზე გადანაწილდება.

ნიკოლოზ თოფურიძემ წარმომადგენლებს მოსახლეობისთვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემუშავებული 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმის გაცნობა დაავალა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოქალაქეებს არ აქვთ სწორი ინფორმაცია, თუ როგორ ხდება ინფრასტრუქტურულ პროექტებზე პრიორიტეტის მინიჭება. თოფურიძის განმარტებით, 2018-2019 წლებში ყველა სოფელში უნდა დასრულდეს ხიდებისა და ხიდბოგირების მშენებლობა, ასევე წყლის სათავე ნაგებობების რეაბილიტაცია.

სამუშაო თათბირი, ძირითადად, კითხვა – პასუხის რეჟიმში წარიმართა. მერმა სოფლებში არსებული კონკრეტული პრობლემები მოისმინა და წარმომადგენლებთან ერთად გადაჭრის გზებზე იმსჯელა.

„კონსტრუქციული და კოორდინირებული ურთიერთობა გქონდეთ მოსახლეობასთან. ხალხმა უნდა იგრძნოს, რომ ხელისუფლება არის მათთან ახლოს, მათ სამსახურში,“-განაცხადა მუნიციპალიტეტის მერმა.

„ნატოს დღეების“ ფარგლებში საინფორმაციო შეხვედრას ნარბაბაშვილის აღმოსავლეთი ნაწილისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ

იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში, „ნატოს დღეები 2018-ის“ ფარგლებში, საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის მოადგილე იოსებ ხახალეიშვილი, იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე იმყოფებოდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე და საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე.

მიმდინარე წელს, „ნატოს დღეები“ განსაკუთრებულად აღინიშნება საქართველოში. ქვეყნის 8 რეგიონში, ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით გაიმართება არაერთი ღონისძიება ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლებისა და ჩართულობის მიზნით.

„ნატოს დღეები“ წელს მეთერთმეტედ აღინიშნება და მისი მიზანია ალიანსისა და ნატო-საქართველოს თანამშრომლობის შესახებ საქართველოს მოქალაქეების ინფორმირება.

ხარაგაულში „ქართული ოცნების“ საოლქო ორგანიზაციის თავმჯდომარედ მანანა ბარბაქაძე აირჩა

პარტია „ქართული ოცნება“ რეგიონებში კონფერენციებს მართავს და საოლქო ორგანიზაციების განახლებას აგრძელებს. 19 აპრილს მორიგი შეხვედრა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში გაიმართა, რომელსაც „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ რეგიონული დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე დავით თურქია, პარტიის იმერეთის, რაჭა–ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის კურატორი ანა ლაშხი, იმერეთის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი გრიგოლ დალაქიშვილი და ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი ესწრებოდნენ.

შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა დავით თურქიამ და გუნდის მიერ განხორციელებულ მნიშვნელოვან პროგრამებზე ისაუბრა. მისივე თქმით, ის, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით ვითარდება, ბიძინა ივანიშვილის უდიდესი დამსახურებაა.

ანა ლაშხმა ნდობისთვის მადლობა გადაუხადა პარტიის მხარდამჭერებს და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. „დარბაზში ბევრი ნაცნობი სახეა, რომლებიც დღემდე ერთგულად იცავენ „ქართული ოცნების“ ინტერესებს. ჩვენ, ყველა, ერთად მოვდივართ 2011 წლიდან, გავერთიანდით ბატონი ბიძინა ივანიშვილის ირგვლივ და ვიბრძოლეთ სასტიკი რეჟიმის წინააღმდეგ. ძალიან ბევრი რთული ბარიერის გადალახვა მოგვიხდა, მაგრამ ღირსეულად გამოვიარეთ ეს წლები. რა თქმა უნდა, მომავალშიც ასე გაგრძელდება და შემდგომი პერიოდი გაცილებით წარმატებული იქნება.“ - განაცხადა ქალბატონმა ანამ.

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელმა გრიგოლ დალაქიშვილმა ხელისუფლების მიერ განხორციელებულ რეფორმებზე ისაუბრა. მან ასევე ხაზი გაუსვა იმერეთის მასშტაბით მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს და დასძინა, რომ ამ მიმართულებით ბოლო ორი წლის განმავლობაში 322 მილიონი ლარი დაიხარჯა, რომლის ფარგლებში 113 სოფელი გაზიფიცირდა, მნიშვნელოვნად მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა და, შესაბამისად, ცხოვრება ადგილობრივებისათვის უფრო კომფორტული გახდა.

„საქართველოში ყველა მიმართულებით კოლოსალური მშენებლობები მიმდინარეობს და მთავრობის მხრიდან დიდი ყურადღება ეთმობა რეგიონების გაძლიერებას“, - აღნიშნა შეხვედრაზე მაჟორიტარმა დეპუტატმა კობა ლურსმანაშვილმა. მისივე თქმით, მიმდინარე სიკეთეები პირდაპირი ფორმით ადამიანის ცხოვრების დონეზე მოკლე დროში ვერ აისახება, მაგრამ ყველა ვხედავთ, რომ ვითარება უკეთ მიემართება. დეპუტატის განმარტებით, საკრებულოსა და მერიის კოორდინირებული მუშაობით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ბევრი მასშტაბური პროექტი განხორციელდება.

კონფერენციაზე ღია კენჭისყრის საფუძველზე ხარაგაულის საოლქო ორგანიზაციის თავმჯდომარედ მანანა ბარბაქაძე აირჩა. ქალბატონი მანანა აღნიშნულ პოსტს 2012 წლიდან იკავებს. ამჟამად იგი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეა. გარდა ამისა, დაკომპლექტდა ბიუროს შემადგენლობა, რომლის წევრებად აირჩნენ: პარლამენტარი კობა ლურსმანაშვილი, მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე პაატა გოგოლაძე, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი და ზურაბ ნიქაცაძე.

ამავე დღეს ასევე დაამტკიცეს ყრილობის დელეგატები შემდეგი შემადგენლობით: კობა ლურსმანაშვილი, ნიკოლოზ თოფურიძე, მანანა ბარბაქაძე, დავით კიკნაძე, ვარლამ ჭიპაშვილი, გივი თხელიძე, პაატა გოგოლაძე, შალვა ლურსმანაშვილი, ლენა აბაშიძე, ეკა შველიძე, ნონა ზურაბიანი, შმაგი ხიჯაკაძე, პავლე თავზარაშვილი, ზურაბ ნიქაცაძე და ნინო ხარაძე.

შეგახსენებთ, რომ კონფერენციას პარტია „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი ანა კილაძე უძღვებოდა.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

ხარაგაულის განვითარებაში მინდა, ჩემი წვლილიც შევიტანო...

რამდენიმე თვეა, რაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. აფრასიონ ლურსმანაშვილი 1988 წლის 3 აგვისტოს დაბა ხარაგაულში დაიბადა.

2005 წელს დაამთავრა ხარაგაულის N3 საჯარო სკოლა და ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე. 2010-2014 წწ. მუშაობდა სამშენებლო ფირმაში სხვადასხვა პოზიციებზე, 2014-2016 წწ. - სამშენებლო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე. ჰყავს მეუღლე, სოფიკო ცხადაძე და ორი შვილი, ელენე და მათე .

რა გეგმები აქვს სამსახურის ახალ ხელმძღვანელს და რისი განხორციელება იგეგმება სამომავლოდ მუნიციპალიტეტში ზედამხედველობისა და არქიტექტურის მიმართულებით, ამის შესახებ აფრასიონ ლურსმანაშვილს ვესაუბრეთ.

-რა კრიტერიუმებით მოხდა თქვენი ამ თანამდებობაზე დანიშვნა?

-ხარაგაული ჩემთვის ძალიან ძვირფასია. არასოდეს მქონია სურვილი, სხვაგან მეცხოვრა. როდესაც უნივერსიტეტი დავასრულე, სამსახური თბილისში დავიწყე, მაგრამ მომეცა თუ არა დაბრუნების შესაძლებლობა, სიხარულით დავთანხმდი ბატონ ნიკოლოზ თოფურიძის შემოთავაზებას. თავდაპირველად მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურში მთავარი სპეციალისტი გახლდით. ძალიან მიყვარს ჩემი საქმე და ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდები. შრომისმოყვარეობა, საქმის ცოდნა - ალბათ ეს იყო მთავარი ფაქტორი, რის გამოც დავინიშნე სამსახურის უფროსად. მადლობა იმ ადამიანებს, ვინც მხარდაჭერა გამომიცხადა. შევეცდები, ეს ნდობა გავამართლო და გარკვეული წვლილი შევიტანო ხარაგაულის განვითარებაში. აქ ნამდვილად ღირსეული და პროფესიონალი ადამიანები მუშაობენ და მჯერა, რომ დიდი პასუხისმგებლობით გადადგმული ნაბიჯები აუცილებლად მოიტანს კარგ შედეგს.

- როგორ შეაფასებდით თქვენს მუშაობას და როგორ გესახებათ მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების გადაჭრის გზები?

- საკმაოდ მნიშვნელოვანია ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის ფუნქცია-მოვალეობები. მშენებლობები, რომლებიც მუნიციპალიტეტში ხორციელდება, ჩვენთან შეთანხმების გარეშე შეუძლებელია. ასევე კონტროლს ვუწევთ გარე ვაჭრობისა და უნებართვო რეკლამების განთავსების საკითხს. მას შემდეგ, რაც სამსახურის უფროსად დავინიშნე, აქტიურად დავიწყეთ ხარაგაულის მასშტაბით უსახური შენობების აღწერა. სარეაბილიტაციო შენობების ნუსხა კი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში გადავგზავნეთ. ბევრი ნაგებობაა სავალალო მდგომარეობაში, ვცდილობთ, რაიონი გალამაზდეს. აქტიურად ვუწევთ მონიტორინგს უკანონო მშენებლობებს. მზად ვართ, ნებისმიერ მოქალაქეს დავეხმაროთ და თუ რაიმე გაკეთდება კანონის დაცვით, დაბრკოლებებს არავის შევუქმნით. ჩვენი სამსახურის პრიორიტეტია ხარაგაულის იერსახის შეცვლა და განახლება. უახლოეს პერიოდში დაიწყება მრავალბინიანი კორპუსების ფასადების მოწესრიგება და ეტაპობრივად მოხდება ყველა პრობლემის აღმოფხვრა. ის გუნდი, რომელიც ადგილობრივ თვითმმართველობაში მუშაობს, მზადაა, ყველა რესურსი გამოიყენოს მუნიციპალიტეტის გასავითარებლად.

-საკმაოდ დატვირთული სამუშაო გრაფიკი გაქვთ. როგორ ახერხებთ ოჯახისა და სამსახურის საქმეების შეწყობას?

-მართლაც რთული და შრომატევადია ჩვენი სამსახურის საქმიანობა, მაგრამ ოჯახისთვის ყურადღების მიქცევას ყოველთვის ვახერხებ. მყავს მეუღლე და ორი შვილი, მშობლები, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ცოდნა მიმეღო და ღირსეულ პიროვნებად ჩამოვყალიბებულიყავი, არიან სწორედ ის ადამიანები, რომლებიც ყოველთვის გვერდით მიდგანან და მაძლიერებენ. ამისთვის მადლობა მინდა, ვუთხრა მათ. თავისუფალ საათებს შვილებთან ვატარებ, ვცდილობ, მზრუნველობა არ მოვაკლო. მიხარია, რომ ოცნებაც ავისრულე და ისინიც ხარაგაულში იზრდებიან. მინდა, მათაც ისე უყვარდეთ ეს კუთხე, როგორც - მე და ჩემს მშობლებს. ოჯახი, სამსახური, მეგობრები-ესაა სწორედ ცხოვრების მთავარი მამოძრავებელი ძარღვი, რომელიც ჩემთვის უპირველესი და მნიშვნელოვანია.

-რას ნიშნავს თქვენთვის ხელისუფლებაში ყოფნა?

-იყო მმართველი გუნდის წევრი, უპირველესად, დიდი პასუხისმგებლობაა. ჩემი ხელისუფლებაში ყოფნა საკმაოდ საინტერესო პერიოდს დაემთხვა. ასეთი მასშტაბის ინფრასტრუქტურული პროექტები, რაც მუნიციპალიტეტში ხორციელდება, ალბათ ბოლო ათწლეულების განმავლობაში არ გაკეთებულა. მიხარია, რომ ღირსეულ და პროფესიონალ ადამიანებთან ერთად ვიღებ მონაწილეობას ხარაგაულის განვითარებაში. მჯერა, მალე ერთ-ერთ წარმატებულ მუნიციპალიტეტში ვიცხოვრებთ და ამაში ჩვენი გუნდი თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის...

ლელა გუგულაშვილი

ხარაგაულის სამედიცინო დაწესებულებას ლაშა ელბაქიძე უხელმძღვანელებს

ხარაგაულის სამედიცინო დაწესებულების დირექტორად ლაშა ელბაქიძე დაინიშნა. შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორმა ნუგზარ ბოლქვაძემ კლინიკის თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელი ოფიციალურად წარუდგინა. ცვლილებები შეეხო ასევე კლინიკური მენეჯერის თანამდებობას. ქეთევან აბრამიშვილის ნაცვლად აღნიშნულ პოსტს ლევან კობახიძე დაიკავებს. როგორც ჩვენთან საუბარში ნუგზარ ბოლქვაძე აცხადებს, სამედიცინო დაწესებულებაში რიგი ცვლილებების განხორციელება იგეგმება.

ლაშა ელბაქიძეს დამთავრებული აქვს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტი, ფინანსებისა და მენეჯმენტის განხრით. მუშაობდა „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრში“ სხვადასხვა თანამდებობაზე. გახლდათ სამეურნეო და ლოჯისტიკის სამსახურების უფროსი, ასევე თეთრიწყაროს სამედიცინო დაწესებულების ფინანსური მენეჯერის თანაშემწე. ბოლო ხუთი თვის განმავლობაში კი -ლენტეხის კლინიკის დირექტორი.

„ჩემი მიზანია, ხარაგაულის მოსახლეობა სამედიცინო მომსახურებით იყოს უზრუნველყოფილი და პაციენტი დარჩეს კმაყოფილი. კლინიკაში ამისთვის ყველა სამედიცინო რესურსი და ინტელექტუალური პოტენციალია. მოხდა გარკვეული საკადრო ცვლილებები და შეიცვალა მართვის სტილი. მაქვს გრძელვადიანი გეგმები და მაქსიმალურად შევეცდები, ჩემი საქმიანობა იყოს ეფექტური.“-აღნიშნა ლაშა ელბაქიძემ.

შეგახსენებთ, რომ სამი თვის განმავლობაში ხარაგაულის სამედიცინო დაწესებულებას შალვა ბიჭიაშვილი ხელმძღვანელობდა, რომელიც ამჟამად შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ სათაო ოფისში განაგრძობს მუშაობას.

ეკა შავიძე

„ეს არის საქართველო“

17 აპრილს ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურულმა თეატრმა თბილისში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში, გამართა ლიტერატურული სპექტაკლი „ეს არის საქართველო“, რომელიც ეძღვნებოდა ჩვენი დროის გამორჩეულ ქართველს, დიდ მამულიშვილს, მეცნიერს, ბიოგეოგრაფს, მოგზაურსა და პუბლიცისტს, პროფესორ არნოლდ გეგეჭკორს.

თბილისის ყველაზე ელიტარულ საღამოებზეც კი იშვიათად მინახავს მსგავსი საზოგადოება. დარბაზი ფეხზე მდგომ მაყურებელსაც ვეღარ იტევდა. აქ იყვნენ სხვადასხვა თაობის წარჩინებული მოღვაწენი, მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლები, ადამიანები, რომელთაც ღირსეულად იცხოვრეს და იღვაწეს თავიანთი სამშობლოსთვის. დარბაზში ახალგაზრდების, კერძოდ, სტუდენტების სიმრავლე იგრძნობოდა...

სუნთქვაშეკრული დარბაზი უდიდესი ინტერესით ისმენდა საოცარი კაცის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ მონოსპექტაკლს. დაუჯერებელია, ერთმა კაცმა შეძლოს ის, რაც ბატონმა არნოლდმა შეძლო როგორც მეცნიერულ, ისე საზოგადოებრივ ასპარეზზე. მან მოიარა და შეისწავლა მსოფლიოს 5 კონტინენტი, ყველა ბუნებრივი ზონა. სამჯერ იმოგზაურა დედამიწის გარშემო. მისი მეცნიერული კვლევები მსოფლიოს არაერთ ენაზეა გამოცემული. იგი ლექციებს კითხულობს და საპატიო დოქტორია ხუთივე კონტინენტის წამყვანი უნივერსიტეტებისა, თაობები იზრდებოდნენ და იზრდებიან მის სახელმძღვანელოებზე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მან დანერგა სრულიად ახალი დარგები, ახალი მიმართულებები და სავსებით სამართლიანად დასახელდა იგი იმ ცხრა პროფესორს შორის, რომელთა იმიჯზეც დგას დღეს საქართველოს დედაუნივერსიტეტი. ვის არ ახსოვს მისი საოცარი გადაცემა „ბუნების კარი“, რომელსაც 32 წლის განმავლობაში უძღვებოდა საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე. ემოციის მომგვრელი იყო მისი საოცარი თავგადასავლების მოსმენა მსოფლიოს ყველაზე ცხელი წერტილებიდან, სადაც არასოდეს არცერთ ქართველს არ დაედგა ფეხი, მათ შორის, გარკვეული პერიოდით ცხოვრობდა ბინდიბუსსა და მასაის თითქმის ქვის ხანაში მცხოვრებ ტომებთან.

მოჯადოებული დარბაზი საათ-ნახევრის განმავლობაში უსმენდა იზა ვეფხვაძის ჯადოსნურ მეტყველებას, იხიბლებოდა მისი მანერით და დროდადრო მხურვალე ტაშით გამოხატავდა აღფრთოვანებას. სპექტაკლს მუსიკალურად აფორმებდა დალი მერაბიშვილი, ხოლო ეკრანზე მაყურებლის აღფრთოვანებას იწვევდა ის საოცარი კადრები, რომელიც ჯაბა ფცქიალაძის მიერ იყო ნაჩვენები.

სპექტაკლის დასრულების შემდეგ, ცნობილმა ადამიანებმა სრული ჭეშმარიტებით შეაფასეს იზა ვეფხვაძის მართლაც საოცარი უნარ-შესაძლებლობები.

ბატონმა არნოლდ გეგეჭკორმა მას თავისი უნიკალური წიგნი - „ეს არის საქართველო“ გადასცა და აღნიშნა; „ეს იყო ტრიუმფი, სხვა სახელს ვერ დავარქმევ, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო მოვიარე, მსგავსი ნიჭიერება არ მინახავს, მე ბედნიერი ვიქნებოდი, რომ საქართველოს ყველა რეგიონს ორი ასეთი ადამიანი მაინც ჰყავდეს, ასეთი თავდადებული, ერთგული, გონიერი... ეს ქალბატონი არის პატრიოტიზმის და სამშობლოს მსახურების განსაკუთრებული მაგალითი, ყოველივე ამას კი მისი საოცარი ნიჭიერება და მანერა ერთვის, რომლითაც ის აჯადოებს მაყურებელს. პირველად იზა ვეფხვაძე გასულ წელს ვიხილე თბილისში რომან რურუას საღამოზე, ვერც კი დავიჯერე, ისეთი რამ ხდებოდა სცენაზე, მთელი დარბაზი ემოციებში იყო... მადლობა მინდა, ვუთხრა ქალბატონ იზას, ჩემი შემოქმედების ასე წარმოჩენისთვის“.

კულტურის ყოფილმა მინისტრმა პროფესორმა ვალერი ასათიანმა გაიხსენა 23 წლის წინანდელი ამბავი, როცა მან ხარაგაულში გზა დაულოცა სრულიად ახალგაზრდა თეატრს, გზა დაულოცა იზა ვეფხვაძეს : „მე წლების წინ ხარაგაულში ვიხილე ეს საოცარი ქალბატონი. მაშინ ვთქვი და ბედნიერი ვარ, რომ თავიდანვე სწორად შევნიშნე, რომ ეს არის სრულიად ახალი ჟანრი და მიმართულება ქართულ თეატრში. ეს არის სულიერებით, სინატიფით გაჯერებული თხრობა და გადმოცემის განსაკუთრებული მანერა“.

ცნობილმა სპორტულმა კომენტატორმა ჯამლეთ ხუხაშვილმა იზა ვეფხვაძე საქართველოში კოტე მახარაძის საქმის ერთადერთ გამგრძელებლად მოიხსენია და აღნიშნა, რომ მთელი ცხოვრება კოტეს გვერდით გაატარა და მისთვის ადვილი არაა, ვინმე მიიჩნიოს მისი საქმის გამგრძელებლად: „მაგრამ, კოტეც რომ ცოცხალი იყოს, ის ბედნიერი იქნებოდა იზას არსებობით,“- დასძინა მან.

საღამო დაამშვენა არნოლდ გეგეჭკორის შვილიშვილის, გუგა როგავას, მიერ გიტარაზე შესრულებულმა ლამაზმა მელოდიებმა, ანსამბლ „მზიურის“ მეცხრე თაობამ, ულამაზესმა გოგო-ბიჭებმა, რომელთაც ბატონ არნოლდს რამდენიმე სიმღერა მიუძღვნეს.

დასასრულს ცნობილი გახდა, რომ ლიტერატურული თეატრი აღნიშნულ სპექტაკლს მაისის თვეში უჩვენებს ხარაგაულის მაყურებელს პროექტის ფარგლებში „ჩემი საქართველო აქ არის.“

ნინო ჯიბუტი

მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პირის სტატუსი დამატებით რამდენიმე მოქალაქეს მიენიჭა

მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსი წიფაში მცხოვრებ იზოლდა ქურციკიძესა და ჟუჟუნა გუდაძეს მიენიჭათ. ამის შესახებ გადაწყვეტლება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭომ მიიღო. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული საბჭო ინდივიდუალურ განცხადებებს განიხილავს და გასცემს რეკომენდაციებს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების თაობაზე.

წარუშლელი შთაბეჭდილებებით ვტოვებ ხარაგაულს...

ახალგაზრდობა ქვეყნის ძლიერების საიმედო ბურჯია. რასაკვირველია, ამ სიტყვებში საზოგადოების იმ ნაწილს ვგულისხმობთ, რომელსაც დამოუკიდებელი სწრაფვა აქვს ცოდნისაკენ. ასეთები კი დიდი სიფრთხილით ირჩევენ სამომავლო გზებს, გამოირჩევიან განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით და შედეგიც არ აყოვნებს-ღირსეულად იმკვიდრებენ კუთვნილ ადგილს...

ხარაგაულის სამედიცინო დაწესებულებას რამდენიმე თვის განმავლობაში ხელმძღვანელობდა სწორედ ასეთი ახალგაზრდა, რომელმაც დროის ძალზე მოკლე მონაკვეთში გამოავლინა მაღალი პროფესიონალიზმი, საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, კოლეგებთან და პაციენტებთან ურთიერთობის კულტურა. იყო მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული და ამგვარი თვისებების მქონე პიროვნებად ჩამოყალიბდე, ამ შემთხვევაში დიდია ოჯახის, აღმზრდელი გარემოს როლი. შალვა სწორედ ისეთ ოჯახში გაიზარდა, სადაც პრიორიტეტად მიჩნეული იყო ცოდნის შეძენისაკენ სწრაფვა და წიგნიერება. მამა თავის უფალი და აგრარული უნივერსიტეტების პროფესორია; დედა -ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერთანამშრომელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პალეობოტანიკოსი; დას კი ერთ-ერთ კომპანიაში მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობა უჭირავს.

ვფიქრობ, შალვა ბიჭიაშვილი ხარაგაულისთვის ახალი სახეა, მის შესახებ ძალიან ცოტა რამ იცის საზოგადოებამ. ვინ არის ეს პიროვნება, როგორია მისი ხედვა, განვლილი და სამომავლო გზა - ამის შესახებ პირადად გვესაუბრება:

„თბილისში დავიბადე და გავიზარდე. ვსწავლობდი აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლაში. მინდა, აღვნიშნო, რომ ეს ის გარემოა, სადაც ახალგაზრდებს თავიანთი ინტელექტუალური პოტენციალის თვითრეალიზების საშუალება ეძლევათ. ძალიან მაღალი დონის სკოლაა, რომელიც დიდ შრომას მოითხოვს, მაგრამ მიმაჩნია, რომ განათლება ქვეყნისათვის მთავარი საზრუნავია. ვფიქრობ, ცოტა რამ არსებობს ისეთი, რაზეც საზოგადოება ერთხმად თანხმდება, მაგრამ წარმატების მისაღწევად რომ თავდაუზოგავი შრომა და შესაბამისი ცოდნაა საჭირო, ეს საყოველთაოდ აღიარებულია. სკოლის დასრულების შემდეგ იწყება სტუდენტობა... პერიოდი, როდესაც განათლების ახალი სფეროების დაუფლების საშუალება გეძლევა, ხდები დამოუკიდებელი, ისახავ მიზნებს - აღწევ - და საკუთარი თავის კმაყოფილი ხარ. დამთავრებული მაქვს თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი, მაგისტრატურა კი კავკასიის უნივერსიტეტის ჯანდაცვის სკოლაში გავიარე. ამჟამად ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორანტი ვარ.

- მედიცინა ის სფეროა, რომელიც მუდმივად მოითხოვს სწავლას. შესაბამისად, დიდია პასუხისმგებლობაც. რამ განაპირობა თქვენი პროფესიის არჩევა?

-ძალიან მაინტერესებდა სამედიცინო სფერო და ამიტომ ავირჩიე ეს სპეციალობა. მაგისტრატურაში სწავლა კლინიკის ადმინისტრირებასა და მენეჯმენტის კუთხით განვაგრძე და, შესაბამისად, აქტიურად ჩავერთე ახალ გამოწვევებში. ვფიქრობ, პროფესიის არჩევისას მნიშვნელოვანია, დამოუკიდებელი გადაწყვეტილება მიიღო და სრულად გაითავისო ეს პასუხისმგებლობა. თუ თვლი, რომ კონკრეტულ სფეროში შენი ყოველდღიურობა იქნება საინტერესო და მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებული, მაშინ სწორედ ამ მიმართულებით უნდა შეაჩერო არჩევანი. ნამდვილად ბედნიერებაა, როდესაც შენს საყვარელ საქმეს ასრულებ და, პირადად, მზად ვარ, ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი გავაკეთო. ჯანდაცვის სისტემაში რეგულაციები მუდმივად იცვლება, ვითარდება და ყოველივე ეს სამუშაო გარემოს უფრო მრავალფეროვანს ხდის.

- როგორ დაიწყო თქვენი კარიერა?

-ჩემი კარიერა კლინიკა „მედსში“ დაიწყო, სადაც შესყიდვების მენეჯერი გახლდით. 2013 წლიდან კი „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრში“ ვმუშაობ.

ნებისმიერი ადამიანისთვის რთულია უცხო გარემოსთან ადაპტირება, მაგრამ, როდესაც მივიღე შემოთავაზება, რამდენიმე თვე ხარაგაულის კლინიკისთვის მეხელმძღვანელა, ეს იყო ჩემთვის საინტერესო გამოწვევა. მადლობა მინდა გადავუხადო ცენტრის დირექტორს, ბატონ ნუგზარ ბოლქვაძეს, ნდობისა და მხარდაჭერისთვის. იყო ბევრი პრობლემა და სირთულე, მაგრამ ეტაპობრივად ყველაფერი ლაგდება. მიმდინარეობს სტრუქტურული რეორგანიზაცია და კადრები მათი გამოცდილებისა და პიროვნული უნარ-ჩვევების გათვალისწინებით შეირჩევა. მაქსიმალურად შევუწყობთ ხელს ნიჭიერი ადამიანების დასაქმებას. ახლად დანიშნულ დირექტორს, ბატონ ლაშა ელბაქიძეს, ამ სფეროში მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს და ვთვლი, რომ ერთობლივი ძალისხმევით ბევრი კარგი საქმე გაკეთდება.

- გვესაუბრეთ იმ სიახლეების შესახებ, რომლებიც თქვენი მმართველობის პერიოდში კლინიკაში განხორციელდა.

- ჩავერთეთ ელექტრონული სამედიცინო დოკუმენტაციისა და ელექტრონული რეცეპტების სისტემაში, „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ ხელმძღვანელობის ხელშეწყობით ფუნქციონირება დაიწყო რეანიმაციულმა განყოფილებამ და მოხდა სამედიცინო დაწესებულების შევსება სხვადასხვა პროფილის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. ახალდანიშნული კარდიოლოგი, ბატონი ვლადიმერ თხელიძე, წარმოშობით ხარაგაულელია და სამუშაო გამოცდილება თბილისის წამყვან კლინიკებში აქვს მიღებული. მოვახერხეთ ისიც, რომ გვყოლოდა ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი. ვახტანგ მატარაძე მცირე ხანია, ჩვენს გუნდს შემოუერთდა და მალე ადგილზე გაკეთდება ოტო-რინო-ლარინგოლოგიური ოპერაციები. დაინიშნა ასევე საკმაოდ გამოცდილი რეანიმატოლოგი სოსო სეფაშვილი. აქვე მოგახსენებთ, რომ, დაპირებისამებრ, ბორითის კლინიკაში განთავსდა რეანიმობილი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, მაქსიმალურად ოპერატიულად მოახდენს პაციენტების გადაადგილებას.

- რა სერვისებს სთავაზობს კლინიკა პაციენტებს და, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში, რატომ უნდა მივმართოთ ხარაგაულის სამედიცინო დაწესებულებას?

-საქართველოს მასშტაბით, ხარაგაულის საავადმყოფო ერთ-ერთი საუკეთესოა, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით და საერთაშორისო სტანდარტის ნორმებს შეესაბამება. კლინიკა პაციენტებს სრულ ამბულატორიულ გამოკვლევასა და მაღალი დონის სამედიცინო მომსახურებას სთავაზობს. მოსახლეობას რაიონიდან გაუსვლელად შეუძლია, მიიღოს ქირურგიული, თერაპიული, ასევე გეგმიური და გადაუდებელი სერვისები. აქ ხშირად ტარდება ოპერაციები და მაქსიმალურად დაცულია პაციენტის უსაფრთხოება. აქვე აღვნიშნავ, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების დროს, პირველ რიგში, აუცილებელია დროული დიაგნოსტიკა. ამიტომ, როდესაც ადგილზე ასეთი თანამედროვე ტიპის სამედიცინო დაწესებულებაა, სხვაგან წასვლაზე არ უნდა ვიფიქროთ. აქ მომუშავე მედპერსონალი ორიენტირებულია პაციენტების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე.

- გაგვიზიარეთ შთაბეჭდილებები ხარაგაულზე...

- ამ მუნიციპალიტეტთან საქმიანი შეხება არასდროს მქონია, სულ რამდენჯერმე ვიყავი ნამყოფი. ვიქნები გულწრფელი და გეტყვით, რომ წარუშლელი შთაბეჭდილებებით ვტოვებ ხარაგაულს. აქ ძალიან თბილი, მეგობრული და განათლებული ხალხი ცხოვრობს. ბუნებრივი პირობებით ულამაზესი ხეობაა. როგორ შეიძლება, არ მოგწონდეს აქაური ჰაერი და გარემო. შორს არ მივდივარ, ხშირად გესტუმრებით. ვისარგებლებ შემთხვევით და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ასევე ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ დროის განმავლობაში გვერდით მედგა, მადლობას გადავუხდი. ბუნებრივია, როდესაც ყველა მხრიდან მხარდაჭერა გაქვს, გაცილებით გიადვილდება საქმის კეთება.

-როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

- ჩემი სამომავლო გეგმები პროფესიული განვითარებისთვის ისევ სწავლას უკავშირდება. გარდა ამისა, მაქვს სხვა მნიშვნელოვანი ჩანაფიქრებიც, თუმცა ამ ეტაპზე დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ. ვეცდები, დასახული მიზნები აუცილებლად განვახორციელო. მინდა, ხარაგაულის კლინიკა იყოს წარმატებული, რასაც ნამდვილად იმსახურებს ადგილობრივი მოსახლეობა და იქ მომუშავე პროფესიონალთა ჯგუფი.

ეკა შავიძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ პირველი კვარტლის ბიუჯეტი 90% -ით შეასრულა

16 აპრილს გამართულ ბიუროს სხდომაზე დეპუტატებმა 2018 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლის შესრულების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს. საკითხი მათ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა გააცნო. როგორც მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, პირველი კვარტლის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში 1777.1 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტობრივად კი 1591.3 ათასი ლარია მიღებული, რაც გასულ წელთან შედარებით 175.2 ათასი ლარით მეტია. რაც შეეხება გადასახადებს, დაგეგმილი 34,0 ათასი ლარიდან მიღებულია 18,0 ათასი ლარი, მათ შორის, საშემოსავლო გადასახადი 30,0 ათასი ლარის ნაცვლად 13,9 ათასი ლარი, საწარმოთა ქონების გადასახადი 4,0 ათასი ლარის ნაცვლად 3,0 ათასი ლარი, ხოლო არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი დაუგეგმავად მიღებულ იქნა 1,1 ათასი ლარი. ბიუროს სხდომაზე ასევე საუბარი შეეხო სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღებ ტრანსფერს და, აღინიშნა, პირველ კვარტალში ფაქტობრივად მიღებულმა ტრანსფერმა 1380,5 ათასი ლარი შეადგინა. რაც შეეხება სხვა შემოსავლების გეგმას, 178.5 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტობრივად კი 189.3 ათასი ლარი იქნა მიღებული. როგორც ვლადიმერ გელაშვილი განმარტავს, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 3.3 ათასი ლარით მეტი შემოსავალი აქვს ბიუჯეტს მიღებული. „არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულობები დაგეგმილი არ ყოფილა, ფაქტობრივად შემოსულია 3,5 ათასი ლარი, აქედან 1,5 ათასი ლარი ძირითადი ქონებისა და 2,0 ათასი ლარი მიწების გაყიდვიდან.“-აღნიშნა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტმა 2018 წლის პირველი კვარტლის საკუთარი შემოსულობების გეგმა (გადასახადები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება) 97,5 % -ით შეასრულა.

რაც შეეხება ხარჯებს, პირველ კვარტალში ფაქტობრივად გაწეულია 3261,4 ათასი ლარის ხარჯი. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯების დაფინანსებაზე დაგეგმილი 566,4 ათასი ლარიდან გაწეულია 499,7 ათასი ლარი, გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით 31,4 ათასი ლარით ნაკლები. 2018 წლის დასაწყისში მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან, მერის ბრძანებით, გამოიყო 10,0 ათასი ლარი სოციალურად დაუცველი ათშვილიანი ოჯახისათვის საცხოვრებელი სახლის შესაძენად.

რაც შეეხება სოციალურ პროგრამებს, დაგეგმილი 184,6 ათასი ლარიდან დაიხარჯა 158,8 ათასი ლარი. აქედან საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე 28,2 ათასი ლარი და სოციალურ პროგრამებზე 130,6 ათასი ლარი. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით სოციალური პროგრამების ხარჯები გაზრდილია 8,8 ათასი ლარით .

ეკა შავიძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში შშმ ბავშვებისათვის მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდება

ხარაგაულის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში პროექტის -„ჩვენ აქ ვართ“- პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რუსუდან გიორგაძე და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ. პროექტს, რომელიც ევროკავშირის მიერაა დაფინანსებული, მუნიციპალიტეტში ა/ო „ნაბიჯი ხარაგაული“ განახორციელებს. როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელი რუსუდან გურგენიძე განმარტავს, მთავარი მიზანი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა და სოციალური პირობების გაუმჯობესებაა.

2014 წლიდან დღემდე არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით განხორციელებულმა არაერთმა აქტივობამ განაპირობა ის, რომ წარმოდგენილმა პროექტმა გრანტი მოიპოვა.

„ჩვენ აქ ვართ“ - 2018 წლის პირველი აპრილიდან 31 დეკემბრამდე განხორციელდება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია საინფორმაციო შეხვედრები მშობლებთან, ადგილობრივი ხელისუფლების, ბაღებისა და სკოლების წარმომადგენლებთან. ასევე ჩამოყალიბდება მშობელთა კომიტეტი, რომელიც შეიმუშავებს ორწლიან სამოქმედო გეგმას. მათთვის ჩატარდება ტრენინგები, მომზადდება რამდენიმე მიზნობრივი პროგრამა, რომელიც აისახება მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე იმედს გამოთქვამს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა ნაყოფიერად ითანამშრომლებს არასამთავრობო სექტორთან და აქტიურად ჩაერთვება მსგავსი სახის პროექტების განხორციელებაში.

შეგახსენებთ, რომ ამჟამად ხარაგაულში 100-ზე მეტი შშმ ბავშვია.

ლელა გუგულაშვილი

დღე მშვენიერი, დღე სამახსოვრო...

მიმდინარე წლის 14 აპრილს ქართული საუნივერსიტეტო განათლების უპირველეს ტაძარში, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჭეშმარიტად ზეიმობდა ჩვენი მშობლიური ქართული, „ენაი შემკული და კურთხეული“, ზეიმობდა სრულიად საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობა - ბურჯი საქართველოს ხვალინდელი დღისა, ერთგული მცველი მშობლიური ენისა...

ქართული საუნივერსიტეტო განათლების ასწლიანი კერა თავისი სახელოვანი ისტორიით მუდამ იდგა ძირძველი ქართული ენის საფუძვლიანი შესწავლისა და მისი დაცვის სადარაჯოზე. აკაკი შანიძის, კორნელი კეკელიძის, ვარლამ თოფურიას, ალექსანდრე ბარამიძის, ლეო კვაჭაძის, გიორგი ახვლედიანის, ივანე გიგინეიშვილისა და სხვათა ღირსეულ ღვაწლს დღესაც აგრძელებს და ახალი სიცოცხლით ცხოვრობს ცოდნის სალოცავი ტაძარი - დედაუნივერსიტეტი. შორს რომ არ წავიდეთ, ამის დასტურია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასი წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონკურსი „გავუფრთხილდეთ მშობლიურ ენას“ და მოძრაობა „არა- ბარბარიზმებს!“

ბედნიერი ვარ, რომ ჩავერთე აღნიშნულ მოძრაობაში და 16 თებერვალს ჩემი სკოლის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან ერთად უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ორი საინტერესო საჯარო ლექცია მოვისმინე. უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა გიორგი შარვაშიძემ წაიკითხა ლექცია თემაზე: „საუნივერსიტეტო განათლება საქართველოში“, ხოლო პროფესორმა თინათინ მარგალიტაძემ, ლექცია „თანამედროვე ქართულ ენაში, ინგლისური ენის გავლენით მიმდინარე პროცესები და მათი გამომწვევი მიზეზები“.

რექტორმა დიდი მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის იმ პროფესორებს, რომელთაც წამოიწყეს მოძრაობა „არა- ბარბარიზმებს!“ აღნიშნა ამ კუთხით უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის (ინგლისური ფილოლოგიის მიმართულება) პროფესორ თინათინ მარგალიტაძის აქტივობა და დიდი ძალისხმევა. როგორც ცნობილია, ქალბატონი თინათინი არის უნივერსიტეტის „ლექსიკოგრაფიული ცენტრის“ სამეცნიერო ხელმძღვანელი, დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის ერთ-ერთი შემდგენელი, ჯერ რედაქტორი და შემდეგ მთავარი რედაქტორი (დღეისათვის გამოცემულია ლექსიკონის 14 ტომი).

საერთოდ, ქალბატონი თინათინის მოღვაწეობის სფერო ძალზე ვრცელი და მრავალფეროვანია.

სხვებთან ერთად ჩავერთე ესეების კონკურსში „რატომ უნდა გავუფრთხილდეთ მშობლიურ ენას“.

კომპეტენტურმა ჟიურიმ გამოავლინა გამარჯვებულები და მათი დაჯილდოება მოხდა ქართული ენის დღეს, 2018 წლის 14 აპრილს. ბედნიერი ვარ, რომ ვიყავი დაჯილდოების ცერემონიის მონაწილე. დიდი პატივია, უსმენდე საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიხეილ ჩხენკელის, უნივერსიტეტის რექტორის გიორგი შარვაშიძის, ქალბატონ თინათინ მარგალიტაძისა და სხვა მოღვაწეთა გამოსვლებს ქართული ენის ღირსების, მისი დაცვა-გაფრთხილების შესახებ.

ამ დღემ განსაკუთრებული სიხარული განმაცდევინა, როცა პრეზიდენტმა ღირსების ორდენით დააჯილდოვა ღვაწლმოსილი პიროვნებები, მათ შორის, ჩემი სამაგიდო წიგნის „ჩვენი ენა ქართულის“ ავტორი ქალბატონი შუქია აფრიდონიძე, 1978 წლის 14 აპრილის სახალხო მოძრობის ლიდერი, ქალბატონი თამარ ჩხეიძე (როცა პირადად მივულოცე და ვუთხარი, რომ მე მისი თანაკურსელის, ხარაგაულელთათვის უსაყვარლესი პედაგოგის ზეინაბ ბუაჩიძის ახლო ნათესავი ვიყავი, მან ძალიან გაიხარა და ხაზი გაუსვა, რომ ზეინაბ ბუაჩიძე იყო ძალზე მობილიზებული სტუდენტი და უნივერსიტეტის სხვა სტუდენტებთან ერთად ქართული ენისათვის იმ მძიმე დღეს, 1978 წლის 14 მარტს მზად იყო, საკუთარი სიცოცხლეც კი გაეწირა კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის შენარჩუნებისათვის).

შთამბეჭდავი იყო, როცა საზეიმო შეხვედრის მონაწილეებმა უნივერსიტეტის საიუბილეო მაისურებგადაცმულებმა პირველი კორპუსის კიბიდან ცაში ავაფრინეთ ჰელიუმის ბუშტები წარწერით „არა- ბარბარიზმებს!“

განსაკუთრებული სიხარული თურმე წინ მელოდა, სწორედ იმ წუთებში უშუალოდ გავიცანი უნივერსიტეტის რექტორი ბატონი გიორგი შარვაშიძე და სამახსოვრო ფოტო გადავიღე აღნიშნული თვალსაჩინო ღონისძიების ორგანიზატორთან, პროფესორ თინათინ მარგალიტაძესთან. ამ შეხვედრამ ერთხელ კიდევ დაგვისახა გზა საქართველოს სკოლების მოსწავლეებს, რომ დავიცვათ და გავუფრთხილდეთ „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენას“.

ამანდა ხვედელიძე,
ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლის
მეთორმეტე კლასის მოსწავლე

„ვაი, დაგკარგეთ!.. უღმრთო იყო თქვენი სიკვდილი!“

სულის უკურნებელმა ჭრილობამ დასერა გული ხარაგაულის საზოგადოებისა. ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა ქვეყნის ორი იმედი, ხარაგაულის ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის ორი მეთერთმეტეკლასელი - შოთა ჭიპაშვილი და ალექსანდრე ავალიშვილი, უფლის რჩეული სტიქაროსნები.

სამძიმარს ვუცხადებთ მოულოდნელი უბედურებით სულშეძრულ მათ მშობლებს, ჩვენს თანამშრომლებს- ბესო ჭიპაშვილსა და ბესო ავალიშვილს.

უფალმა მისცეს დაღუპულთა ოჯახებსა და ახლობლებს, აღმზრდელ პედაგოგებს ძალა ჭირთათმენისა, სულიერი სიმტკიცისა.

სამზეოდან ნაადრევად გამგზავრებულ შოთიკოსა და ალეკოს უფლის მადლმა დაუმკვიდროს სასუფეველი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების
მუნიციპალური ცენტრი

ხარაგაულში ჩქაროსნული მატარებელი გაჩერდება

გაცნობებთ, რომ ხარაგაულის რკინიგზის სადგურში 19 აპრილიდან ჩქაროსნული მატარებელი თბილისი-ფოთი, ფოთი-თბილისი, ორივე მიმართულებით დღეში ორჯერ გაჩერდება.

მატარებელი № 872 თბილისი-ფოთი, რომელიც თბილისიდან 08:30 სთ-ზე გამოვა ხარაგაულში 10:58 სთ-ზე იქნება, ხოლო მატარებელი №871 ფოთი-თბილისი - 21:02 სთ-ზე. შემდეგი განრიგი - მატარებელი №874 თბილისი-ფოთი თბილისიდან 17:50 სთ-ზე გამოვა და ხარაგაულში 20:17 სთ-ზე იქნება. მატარებელი №873 კი, რომელიც ფოთიდან დილის საათებში გამოვა, ხარაგაულში 10:58 სთ-ზე გაჩერდება.

აღსანიშნავია, რომ ყოველივე ზემოთ აღნიშნულის მისაღწევად საქართველოს რკინიგზასთან მოლაპარაკებებში აქტიურად იყვნენ ჩართული მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რუსუდან გიორგაძე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ სამწლიანი სამოქმედო გეგმა შეიმუშავა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ 2019-2021 წლების ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმა შეიმუშავა, რომელშიც 90 ინფრასტრუქტურული პროექტია განერილი დამათი დაფინანსება რეგიონული განვითარების ფონდიდან იგეგმება. „გზა ყველა სოფელს“ - ხარაგაულის მერის წინასაარჩევნო სლოგანი ძალაშია და დაპირებისამებრ, მომავალი სამი წლის განმავლობაში, ხარაგაულის 78-ვე სოფელში ცენტრალური გზა რეაბილიტირებული იქნება. გთავაზობთ დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების ჩამონათვალს, და აქვე აღვნიშნავთ, რომ სამოქმედო გეგმაში შესაძლებელია ცვლილებები განხორციელდეს.

2019 წელს, ხარაგაულში, შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება:

ბაზალეთში ნანიტაშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია - 114 000 ლარი; ერეთა-დინარის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) -100 000 ლარი; უბისა-ჭალის უბანში გზის რეაბილიტაცია და ნაპირსამაგრის მოწყობა (პირველი ეტაპი) – 100 000 ლარი; მოლითის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია - 120 000 ლარი; ვარძიის გზის რეაბილიტაცია - 100 000 ლარი; ზედუბანის გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) – 235 000 ლარი; ზვარეში კიკნაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია - 100 000 ლარი; კიცხში ავალიშვილების უბანში გზის რეაბილიტაცია და ჯიმშიაშვილების საუბნო გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) - 150 000 ლარი; ლაშეში კიკალიშვილების, ცისკაძეების, მაჭავარიანების და მანჯავიძეების უბნის გზის რეაბილიტაცია - 350 000 ლარი; არჯევანიძეების უბნის გზის რეაბილიტაცია - 230 000 ლარი; ზედა უჩამეთის გზის და მესირიძეების უბნის გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) – 175 000 ლარი; ხემაღალში კვინიკაძეების და მაჭავარიანების უბანში გზის რეაბილიტაცია - 296 000 ლარი; მარელისში ქურდაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) – 150 000 ლარი; ნადაბურში ძამულის უბანში ხიდის მშენებლობა - 180 000 ლარი; ხორითის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) – 225 000 ლარი; ჯაფაროულის გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) – 125 000 ლარი; ისლარში გზის რეაბილიტაცია - 250 000 ლარი; საჯვარე-მარიამწყაროს გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი)- 200 000 ლარი; ბაბში გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) - 70 000 ლარი; პატარა ვარძიაში დვლების საუბნო გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) – 110 000 ლარი; ხევში გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) – 175000 ლარი; ხიდარში ბორიმელაზე ხიდის მშენებლობა და მასხარაშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია - 150 000 ლარი; ქვების გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 200 000 ლარი; საქარიქედის გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) - 250 000 ლარი; გედსამანიის გზის რეაბილიტაცია 500 მეტრი (მეორე ეტაპი) – 60 000 ლარი; ლელვანში სკოლისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია - 220 000 ლარი; დაბა ხარაგაულის N3 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - 150 000 ლარი; ლელვნის საჯარო სკოლაში საპირფარეშოს მოწყობა - 25 000 ლარი; ნადაბურის საჯარო სკოლაში საპირფარეშოს მოწყობა - 25 000 ლარი; ხევის საჯარო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია - 100 000 ლარი;

2021 წელს განსახორციელებელი პროექტები:

სხლოითის გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 180 000 ლარი; ვერტყვილას გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 55 000 ლარი; ფარცხნალი - ახალსოფლის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 114 000 ლარი; უბისა ჭალის უბანში გზის რეაბილიტაცია და ნაპირსამაგრის მოწყობა (მეორე ეტაპი) – 95 000 ლარი; ჩხერის გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) – 235 000 ლარი; ზედა უჩამეთის გზის და მესირიძეების უბნის გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 166 250 ლარი; ხორითის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 213 750 ლარი; ჯაფაროულის გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 125 000 ლარი; ხევში გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 175 000 ლარი; ხუნევის საჯარო სკოლის სახურავის რეაბილიტაცი - 100 000 ლარი; დაბა ხარაგაულის N2 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - 100 000 ლარი; ხიდარში საუბნო გზების და ხიდარი - ვარძიის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 150 000 ლარი; პატარა ვარძიაში დვლების საუბნო გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 110 000 ლარი; გედსამანიის გზის რეაბილიტაცია 500 მეტრი (მესამე ეტაპი) – 60 000 ლარი; ბორის გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 200 000 ლარი; საბე-სარგვეშის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) – 300 000 ლარი; კიცხში ავალიშვილების უბანში გზის რეაბილიტაცია და ჯიმშიაშვილების საუბნო გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 150 000 ლარი; ნადაბურში საჩხერის მუნიციპალიტეტთან დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობა -200 000 ლარი; ვარძიაში ოკრიბელაშვილების უბანში გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 110 000 ლარი; ვახანში ჭიქავების უბნის გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) – 225 000 ლარი; ზვარეში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) – 200 000 ლარი; თეთრანყაროში ვეფხვაძეების და გიორგიძეების უბანში გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 150 000 ლარი; ღვერკის ქვედა უბანის, გორგაძეების და თხელიძეების უბნის გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 200 000 ლარი; ზედა ლაშეში გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 100 000 ლარი; ლელვანში ქვიანთისა და ზედა კოდაბოლოს უბანში გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) – 200 000 ლარი; ბაბში გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 130 000 ლარი; სოფელ ზარანის გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) – 150 000 ლარი; ღუდუმექეთში გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) – 150 000; ვერტყვიჭალაში ციცქიშვილების და ჭის უბანში გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) – 125 000 ლარი; მარელისში ქურდაძეების უბნის გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 150 000 ლარი; ვერტყვიჭალა - ბჟინევის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 100 000 ლარი;

2021 წელს განსახორციელებელი პროექტები:

ვახანში ჭიქავების უბნის გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 225 000 ლარი; ზვარეში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 200 000 ლარი; ლელვანში ქვიანთის და ქურდაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი 250 000 ლარი); ზარანის გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 150 000 ლარი; ღუდუმექეთში გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 150 000 ლარი; საბე-სარგვეშის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 300 000 ლარი; ვახანის საჯარო სკოლის საპირფარეშოს რეაბილიტაცია - 25 000 ლარი; ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის სახურავის და წყალანირების არხის მოწყობა - 100 000 ლარი; წყალაფორეთის საჯარო სკოლის საპირფარეშოს რეაბილიტაცია - 25 000 ლარი; ღორეშის საჯარო სკოლაში საპირფარეშოს რეაბილიტაცია - 35 000 ლარი; ხიდრის საჯარო სკოლაში საპირფარეშოს მოწყობა - 35 000 ლარი; მოლითის საჯარო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია - 100 000 ლარი; ახალსოფლის გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 250 000 ლარი; ამაშუკეთის გზის რეაბილიტაცია - 250 000 ლარი; წყალაფორეთში საუბნო გზების რეაბილიტაცია - 150 000 ლარი; ჩხერის გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 215 000 ლარი; ზედუბნის გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 235 000 ლარი; ღორეშაში საუბნო გზების რეაბილიტაცია (მეორე უბანი 1კმ, ეკლესიის უბანი 1კმ, კუპრაძეების უბანი 0,550კმ, მჭედლიძეების უბანი 0,700კმ, გოგოლაძეების უბანი 0,400კმ, სულაქველიძეების უბანი 0,350 კმ) – 250 000 ლარი; წიფის გზის რეაბილიტაცია - 180 000 ლარი; საჯვარე-მარიამწყაროს გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 200 000 ლარი; ერეთა-დინარის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 100 000 ლარი; ღარიხევის გზის რეაბილიტაცია (მერე ეტაპი) – 180 000 ლარი; ნადაბურში ჭალის უბანში გზის რეაბილიტაცია - 150 000 ლარი; ნებოძირში გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 80 000 ლარი; ფონის გზის რეაბილიტაცია - 55 000 ლარი; ლელვანი-მარელისის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 250 000 ლარი; იგორეთი-საქარიქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 100 000 ლარი;ნადაბურში გიორგაშვილების უბანში ხიდის მშენებლობა - 100 000 ლარი; სხლოითის გზის რეაბილიტაცია (მესამე ეტაპი) – 250 000 ლარი;

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12